№ 278 დეკემბერი 23, ხუთშაბათი 1886 დეკემბერი 23, ხუთშაბათი № 278

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

გაზეთი ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ძგრიქეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1887 წლისთვისაც მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9. ბ) შავერდოვის საგაზეთო სააგენტოს (გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდრეს ბაღის ყურეში).

ქუთაისში: ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ"

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 22 დეკემბერი

ვერვინ იტყვის, რომ ჩვენში გაღვიძებული არ იყოს სწავლისა და ცოდნის სურვილი. ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა: ყველა ჰხედავს, ყველა ჰგრძნობს, ყველა ჰღაღადებს. ვინც იცის რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, რა დიდი ღონეა ერის ბედნიერებისათვის საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ ჭკუა-გახსნილი მოქმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძღოლა საქმისა, საქვეყნო იქნება, თუ საცალკეო,—ის, რასაკვირველია, არ იკმარებს მაგ დღევანდელს სურვილს: მეტს ინდომებს, მეტს ინატრებს და აქ გაუმაძღრობა, მეტის ნდომა სათაკილო კი არ არის, საქებური და თავ-მოსაწონებელი. პატარა ბაშვიც კი, რომელსაც თავისის ასაკის შესაფერი ცოდნა აქვს, ძლიერია უცოდინარს გოლიათზედა და უფრო შემძლებელი ამ წუთის-სოფლის მოედანზედ, საცა დღეს იგი იმარჯვებს, ვინც მცოდინარეა, იგი ჰთამამობს, ვისაც ხელთ უპყრია ის უძლეველი იარაღი, რომელსაც ცოდნას ეძახიან. ეგ სურვილი ყოვლად მხსნელის სწავლისა და ცოდნისა გულში უქმად ცარიელ სურვილად არ დაგვშთომია. იგი ჰმოქმედობს და არა ერთსა და ორს დედ-მამას მიაყენებს ხოლმე სასწავლებლის კარებზედ ხვეწნით და მუდარებით, რომ სანატრელი კარი მისთა შვილთა წინ გაეღოს და ამასთანაც ჰკანკალებს, — ვაი თუ არაო. არა ერთსა და ორს ჩვენს ყმაწვილ-კაცს გაიტაცებს ხოლმე თავ-გამომეტებით თავის საყვარელის სამშობლოდამ, რომ იქ შორს, შორს სადმე დაეწაფოს უმაღლესის ცოდნის ანკარა წყაროსა, რადგანაც ახლო იგი წყარო ნეტარებისა ჯერ არა სჩქეფს და

„მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ
მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალად
ერთი ათასად."

მოდიან ის თავ-განწირულნი, ცოდნის სიყვარულით და წყურვილით შორს გარდახვეწილნი და წინ მოიმძღვარებენ მეცნიერებას და მის მწვანე შტოს ნოეს მტრედსავით ნიშნად ხარებისა და ნუგეშ-ცემისა. მას აქედ, რაც ქვეყნისათვის ჯვარცმულმა ღმერთმა ბძანა: „მოდით მაშვრალნო და ტვირთ-მძიმენო და მე განგისვენებთ თქვენ", არა-რას ქვეყნიერობაზედ ისე სამართლიანად არ შეუძლიან თავის დროშაზედ დააწეროს ეს ნუგეშ-მცემელნი სიტყვანი, თუ არ იმ სალაროს ცოდნისას და სწავლისას, რომელსაც მეცნიერებას ეძახიან და რომელმაც ნადირი-კაცი ღვთის ხატად და მსგავსებად გარდაჰქმნა.

ყოველს ამას მოველოდებით სწავლისა და ცოდნისათვის თავ-გადადებულთა და გარდახვეწილთაგან. ამას ვითხოვთ, ამას ვავედრებთ, ამას ვეხვეწებით და, ჩვენდა სამწუხაროდ, იმას კი აღარ ვკითხულობთ, რა დღეში არიან ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები, მინამ თავის წყურვილს სწავლისას და ცოდნისას მოიკლავენ. დღევანდელი კიევიდამ მოწერილი ამბავი მართალი სურათია იმისი, რასაც ჩვენი საცოდავი ყმაწვილ-კაცობა ითმენს და იტანს სწავლისა და ცოდნის გულისათვის, ესე იგი იმ ძვირფასს თესლთა შეკრებისათვის, რომელიც მშობელ ქვეყანად უნდა მოჰზიდონ ერთი ათასად მოსამკალად და მაშასადამე ჩვენდა საბედნიეროდ. გარდიხვეწებიან ხოლმე საცოდავები და აქ დაშთენილნი კი არას ჰფიქრობენ მასზედ, რომ პური არა აქვთ საჭმელად, სახლი არა აქვთ თავ-შესაფარად და არას ჰზრუნავენ, რომ ხელი გაუწოდონ შველისა და შეწევნისა და იმ საშინელს წამებას გადაარჩინონ, რომელსაც შიმშილი და წყურვილი ჰქვიან. ნუ დაგვავიწყდება, რომ მოსწავლენი მეტი ნაწილი ღარიბნი არიან. თქმა არ უნდა, რომ სიღარიბე უფრო იღწვის ამ შემთხვევაში, ვიდრე სიმდიდრე. სიმდიდრეს რა უჭირს? ცა ყოველთვის ქუდადა აქვს, დედა-მიწა ქალამნადა. მას ჯერ არ აეშლება საღერღელი სწავლისა და ცოდნისა და თუ აეშალა, ვარდით დაფენილ გზაზედ მიდის. სიღარიბეს წინ ეკლიანი გზა უდევს, იგი მიდის და ეკალი ჰშაშრავს მის შიშველს ფეხსა და ტანსა. აქ სვლა სხვერპლია, თავის გაწირვაა, თავის გამომეტებაა. რამდენს დაუღლევია უდღეოდ სიცოცხლე, მშობელთა და მახლობელთაგან დაუტირებელს, მარტო იმის გამო, რომ შიმშილით დაუძლურებულს ხორცს ვეღარ უტარებია დონიერი სული ჭაბუკისა სწავლის ეკლიან გზაზედ? რამდენს დედას გამოსცლია ამ გზით ხელიდამ შვილი, რამდენს დას—ძმა, რამდენს მეგობარს მეგობარი და რამდენი საიმედო შვილი დაჰკარგვია ქვეყანას!...

ნუ თუ მამანო, ძმანო, დედანო, დანო და ქვეყნის გულ-შემატკივარნო, ასეა და ასე უნდა იყოს!... ნუ თუ მართლა ისე უღონონი ვართ, რომ თითო გროშის მიწვდენა არ შეგვეძლოს!.... თუ, — თქმაც კი ცოდვად მიგვაჩნია, — ისე გულგრილები ვართ, ისე უმადლონი, რომ გული ხელს იგავებს და დაუდევრობა—მადლის სურვილსა!

ახალი ამბავი

⁂ შაბათს საღამოს გამართულმა კონცერტმა კარგად ჩაიარა. ხალხი დიდ-ძალი მოგროვდა. კლუბის დიდს და უშველებელს დარბაზში თითქმის ტევა აღარ იყო. ამის გამო ხალხი უფრო გამხიარულდა: ყველას სიამოვნება ეტყობოდა სახეზედ.

აი დაიწყო მღერა, კითხვა ლექსებისა და სცენებისა და მოისმა ხმა სხვა-და-სხვა საკრავთა. საზოგადოების ყურადღება მიიქცია ბ-ნის ზარუდნაისმიერ ქართულის ხმების თქმამა. ამ

ფელეტონი

ქართული თეატრი

(„გავიყარნეთ" და „ხანუმა")

(დასასრული *)

ჩვენ წინა წერილში ვსთქვით, რომ ლომინაძის ახალგაზდა ცოლი ნინო ჭკუა-გაღვიძებული და გრძნობა-წარჰატებული ქალია. მისი გონება და გული ჰტრიალებს იმისთანა სფერაში, რომელიც ჭკუა-გაუხსნელ და გრძნობა-დახშულ ადამიანისათვის ძნელი საფიქრებელია და მიუწდომელიც. მაგრამ ესეცა ვსთქვით, რომ არც იმოდენად განათლებული, გაწვრთნილი და თვალ-ახილებულია, რომ ამ სფერაში გზა-კვალი გამოეგნო. ყოველივე მისი ცდომილება აქედამ არის წარმომდგარი. მაღალი სიყვარული უნდოდა, შეჰხედა ამ სიყვარულს და ვერ იცნა; თავისუფლება უნდოდა და არა იგი ჭეშმარიტი თავისუფლება, რომელიც [illegible] რკინის ბორკილია; გმირი უნდოდა ქმრად და საყვარლად და ერთს ვილაც მჩვარს-[illegible] კი გადაეკიდა,—იმისთანა ყმაწვილ [illegible], რომელიც მისის ქმრის ფეხის-[illegible]ერადაც საკადრისი არ იყო. იგი ყმაწვილი-კაცი, რომელსაც პიესაში ჰქვიან ანაპოლისტე და რომელსაც ნინომ თავისი ქმარზედ აყრილი გული მითამდა დააკუთნა, ერთი იმისთანა გულ-ამოჰვარტლული, ჭკუა-დაბინდებული და ზნე-წამხდარი კაცია, რომელსაც ქვეყანაზედ არა გააჩნია-რა გარდა იმისა, რომ ყოვლად უსირცხვილოა და მეტის-მეტად კადნიერი ქალებთან. აი ეს გაგლესილი თოჯა, ჭკუით-მკვდარი, გულით წაბილწებული ყმაწვილი-კაცი შეიყვარა მითამ ნინომ და ამაში იპოვა იგი გმირი და მოტრფიალე საქმრო, რომელსაც ინსტიტუტში ჰნატრობდა და რომელიც ქმარში ვერ იპოვა. რადგანაც ნინო ამასთანავე პატიოსანი ქალია, ჰზიზღობს ცოლ-ქმრობის გარეშე სიყვარულსა და ამიტომაც გადაჰკიდებია ქმარს, გამეყარე კანონიერად, რომ ჩემი საყვარელი კაცი შევირთოვო.

ჰკვიანი ქმარი მიუხვდა, რომ ნინოს ყოველივე ეს მოსდის გულ-უბრყვილო უმეცრებითა; რომ ნინო ამ შემთხვევაში გულ-წმინდად არის გატაცებული. ამასთან ეჭვ-აღებული ქმარი უტყუარის საბუთებით დარწმუნდა, რომ ნინო ყოვლად უცოდველია, თუმცა მიზიდული-კია იმ მჩვარ ყმაწვილ-კაცისაკენ და ერთმანერთისათვის გული კიდეც აუხდიათ და სიყვარული გამოუცხადებიათ. ქმარი სწუხს, იმიტომ-რომ ნინო უყვარს სულითა და გულით, მაგრამ მწუხარებას არ ეჩაგვრინება და გონიერებას არა ჰკარგავს. თვისდა საბედნიეროდ, ჰხედავს, რომ ამისთანა საქმეში ახირება, ტუქსვა, წყრომა, რისხვა, ყვედრება უფრო გააჰირვეულებს, გააძლიერებს, გააჯიუტებს მცდარის სიყვარულის გრძნობას და ნინო სამუდამოდ ხელიდამ გამოეცლება. ამასთან დარწმუნებულია, რომ ცდომის დანახვა და ერთბამად გამობრუნება ერთი იქნება, თუ კი ნინოს ამ ცდომას მისისავე თვალით როგორმე აჩვენებს. როგორ მოახერხოს ეს ძნელი საქმე? გულ-დინჯად ავყვები ნინოს და ვაჩვენებ თავს ისე, ვითომც მეც ვხედავ, რომ მართლა მე გადავეღობე წინ მის ბედნიერებას და ზნეობა ნებას არ მაძლევს ჩემს საკუთარს ბედნიერებას სხვისი ბედნიერება შევწირო და მთლად დავუდოვო. ამასაც მიხვდა ჰკვიანი ქმარი ნინოსი, რომ ამისთანა პატიოსანი ქალი, როგორც ნინოა, მართლის სიყვარულით ვერ შეიყვარებდა იმისთანა ყოვლად უხეირო კაცს, როგორც ანაპოლისტეა, და თუ აქ თვისი გრძნობა მისდამი სიყვარული ჰგონია ნინოს,—ეგ შეცდომაა. რაც უნდა იყოს, ნინო სულიერს სიამოვნებას ეძებდა სიყვარულში და სწორედ ამ მხრით ყოვლად უვარგისი იყო ის ჩიტი-რეკია ანაპოლისტე. ყოველივე ეს გულ-დინჯად მოისაზრა ლომინაძემ და ცოლს აჰყვა და ახირებით არ გააკაპასა და არ გააჯიუტა. ბატონი ხარ, გაგეყრებიო, ეუბნება ცოლს, და კანონიერს განქორწინებას მე თვითონ მოვახერხებო. მაშინ თავისუფალი იქნები, შეირთე შენი ანაპოლისტე და რადგანაც შენი ახალი საქმრო ღარიბია, ათი-ათას თუმანს მზითევსაც მოგცემთო.

ამისთანა სულ-გრძელებას, რასაკვირველია, არ მოელოდდა ნინო. მისმა შემცდარმა და არა-გაფუჭებულმა გულმა მაშინვე ალიბეჭდა ეს ამბავი, რაკი ეს ნინომ თავის ყურით გაიგონა და თავის თვალით დაინახა. სულ-გრძელება თვისებაა გმირისა და ყველაზედ უწინარეს ამ სულ-გრძელებამ იმოქმედა ნინოზედ მით უფრო, რომ არ ეგონა ამისი უნარი ჰქონოდა მის ქმარსა. ქმარზედ ნინოს ეხლა სხვაფრივ აეხილა თვალი და ამან აჩქარებული ფეხი ცდომისა, ცოტა არ იყო, შეუფერხა. ხომ გადაწყვეტილი ჰქონდა, ქმარს უნდა გავეყაროვო, მაგრამ ამ სულ-გრძელებამ მაინც ამოათქმევინა გულიდამ ნინოს თავისი მართალი განაჩენი: რა კარგი ხარო, ეუბნება ნინო გულიდამ ამოღებულს ქმარსა. ეს პირველი ისარი იყო, რომელიც თუმცა სასიკვდინოდ არ მოხვედა ცდომასა, მაგრამ კარგა საგრძნობელად-კი გაჰკინწლა. შემდეგ ქმარი ეუბნება, მე ეხლა ამ სახლში მეტი ვარო, ჩემი აქ ყოფნა თვალში ჩხირად გექნებათ შენა და ანაპოლისტესა და ამიტომაც გიტოვებთ აქ ყველასფერს და მე სასტუმროში გადავდივარო. ნინოს პირველ ხანში თითქო იამა ესა, მაგრამ მერე-კი ჩაუფიქრდა. ესეც სულ-გრძელება იყო ქმრისაგან, რადგანაც იმის მაგიერ რომ ცოლი გააგდოს სახლიდამ, წადი რაც გინდა ჰქენიო, იგი თვითონ გადის თავის სახლიდამ და სახლ-კარს უთმობს ცოლს, რომელიც ეყრება და ყმაწვილ-კაცს, რომელიც ცოლს ართმევს. ეს ამისთანა სულ-გრძელება ვერ აუხსნია ნინოსა. მე თავისუფლებას დღესვე მაძლევსო, ჰფიქრობს ნინო, სჩანს იგი თავისუფლება თვითონაც თავისთვისაც ჰსურვებია, რომ თავის გულის-წადილს მიეცეს შორს ჩემგანაო. ნინოს ეხლა-კი თითქო ეზიზღა ამისთანა თავისუფლება. რაო? რად გადადიხარ სასტუმროში? რას ეჩქარებიო? ეუბნება თავის ქმარს: ჰო, ვიცი, ვიციო, შენ გინდა თავიდამ მე მომიშორო, რომ თავისუფლად ისიამოვნო სხვა ქალთან, რომელიც შენ გიყვარს და რომელსაც ეხლა არაფრის რიდი აღარ ექნება შენ ყოველ-დღე გინახულოსო. ამ სახით

---

*) იხ. „ივერია" № 275.

ქალმა იმღერა „მკრთალი ნათელი“ და «ჩემო თავო ბედი არ გიწერია». საზოგადოებას ძალიან იამა და დიდხანს არ შეუწყვეტია აღტაცებული ტაშის-ცემა.

კონცერტის შემდეგ გაიმართა მშვენიერი ლეკური. ლეკურს დიდხანს თამაშობდნენ და ძალიან კარგი ლეკურიც იყო, იმიტომ რომ კარგი მოთამაშენი, ქალი, თუ კაცი, შეჰხვდნენ.

საზოგადოება თითქმის დილის 4 საათამდე არ დაშლილა.

ამბობენ, რომ წერა-კითხვის საზოგადოებას, რომლის სასარგებლოდაც იყო გამართული ეს კონცერტი, შემოსვლია სულ 900 მანათამდე. აკი ამბობდნენ, რომ ჩვენი საზოგადოება გულ-უხვი არ არის და სამადლო საქმისათვის არას იმეტებსო.

ჩვენ, ამ კონცერტის მნახველთა, სასიამოვნო საბუთი მოგვეცა ვსთქვათ, რომ კარგს საქმეზედ არც ჩვენი საზოგადოება ზარობს ზოგჯერ.

ამბობენ, რომ ყველიერებში იგივე წერა-კითხვის საზოგადოება გამართავს ბალს და იმედია, საზოგადოება აქაც გამოუჩენს თავის თანაგრძნობას და გულ-შესატკივარს საქმეს წერა-კითხვის საზოგადოებისას ხელს მოუმართავს.

⁂ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: მმართველობა ბანკისა თავისთავს მოვალედ სთვლის საჯაროდ აუწყოს საზოგადოებას, რომ 14 დეკემბერს, როცა ბანკის თეატრში, წარმოდგენის დროს, ცეცხლი გაჩნდა და საფიქრებელი იყო ხალხი ტყუილს შიშს აეტანა, პოლიცია მარდად მოეშველა და იმდენად წინდახედვით და სიფრთხილით მოიქცა, რომ ხალხს სრულიად გაუფანტა შიში და არავითარს უწესოებას, რომელიც ამისთანა შემთხვევაში ადვილად მოსალოდნელია, მიზეზი არ მისცა. ჩვენის მხრით ამას დავუმატებთ, რომ ბ-ნი ლოლაძე, პოლიციის ბოქაული, დიდის ცოდნით, მოხერხებით და ყურადღებით მოიქცა ასე, რომ მისგან დამშვიდებული და დაწყნარებული ხალხი ტყუილს შიშს არ აჰყვა და თავის რიგზედ, აუჩქარებლად გამოვიდა თეატრის დარბაზიდამ.

⁂ გუშინდელმა ქართულმა წარმოდგენამ უფრო მეტი საზოგადოება მოიწვია თეატრში, ვიდრე წინანდელმა. ითამაშეს „შეშლილია“ და ვოდევილი „ბაიყუში“. ბაიყუშმა ბევრი აცინა ხალხი.

⁂ გუშინ ბ-ნის ბერიშვილის ხორო, რომელიც ტფილისის თავად-აზნაურთა სკოლის შეგირდებისაგან არის შედგენილი, გალობდა წირვის წესს სამების ეკკლესიაში. ამ უქმეებში ხორო აღარსად აღარ იგალობებს. ორის კვირის შემდეგ პირველ კვირა დღეს ხოროს განზრახვა აქვს იგალობოს წირვის წესი ქაშუეთის ეკკლესიაში.

⁂ ტფილისის საავად-მყოფოს განყოფილებაში, რომელიც დანიშნულია სულით სნეულთათვის, ადგილი აღარ ყოფილა სრულიად და ამიტომ საავად-მყოფო აღარავის არ იღებსო. ბევრნი სენით ავად-მყოფნი თავიანთ სახლებში არიან თურმე, პატრონთა სამწუხაროდ, შესაფერს მოვლას მოკლებულნი.

⁂ ცხინვალელებს თხოვნა გაუგზავნიათ, საცა ჯერ არს, რომ ფოსტის განყოფილება დაგვიარსეთო.

⁂ ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ ჩვენში ერთი ვიღაც მატყუარა ექიმი გამოჩნდა და ხალხს ტყავს აძრობსო. ეს ტყუილი ექიმი ყველას არწმუნებს, რომ რაც უნდა სნეულობა იყოს, მოვარჩენო. ამას წინად ამ ბატონმა ერთი გულ-უბრყვილო პატრონი ავად-მყოფისა მოატყუა, ორი თუმანი ფული გამოსცინცლა და გადიკარგა სადღაცაო.

⁂ ყველამ იცის, რომ უწინ ჩვენში მრავალი რუსის სამხედრო ყაზახობა იყო. ყაზახობის მოვალეობა იყო ყოველისავე საშუალებით დაემორჩილებინა ჩვენის მხრის ურჩი მკვიდრნი. ამის გამო ყაზახებისა და ჩვენის მთიულების შორის სამუდამო ომი იყო ხოლმე. დრომ დაამშვიდა ორივე მხარე. ყაზახობამ დაჰკარგა თავისი სამხედრო ხასიათი და ყაზახები გადაიქცნენ სოფლის მშვიდობიან მცხოვრებლებად. ახლა, როგორც ამბობს „Новое Время“, უმაღლესს მთავრობას უნდა ხელ-ახლად კავკასიის ყაზახებს სამხედრო მიმართულება მიეცეს. ამ საგანზედ ექნება ლაპარაკი ამ ახლო ხანში სახელმწიფო საბჭოს. ლაპარაკში მონაწილეობას მიიღებს თავ. დონდუკოვ-კარსაკოვიო.

⁂ „გაზ. Московскія Вѣдомости“ გვაუწყებს, რომ ამ ახლო ხანში დაიწყობა რეფორმა კარანტინებისა შავს ზღვაზედ. შესდგება ახალი საკარანტინო ოლქი, დაინიშნება ერთი უფროსი, რომელიც იცხოვრებს ოდესაში, კარანტინისათვის კი გემები გაიგზავნება სევასტოპოლშიო. დანარჩენ შავის ზღვის ნავთ-სადგურებში იქმნება დაარსებული მხოლოდ სანიტარული სადგომებიო. ოდესის საკარანტინო სადგური გაუქმდებაო. რადგანაც რამდენიმე საკარანტინო სადგური არის ჩვენის კავკასიის მთავრობის ხელ-ქვეშ, ამის გამო დაეკითხებიან კავკასიის მთავრობასაცაო.

⁂ რადგანაც უანგარიშოდ ტყეების ჭრა და კაფვა ძრიელ ვრცელდება და ამ ამბავს დიდი ზიანი მოაქვს, სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მეცადინეობით ახლა აპირობენ ტყის მოჰკრის ნება მისცენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტყის პატრონები იტვირთვენ მოჭრის შემდეგ ხელ-ახლად გააშენონ ტყე. ამას გარდა ზოგიერთის ტყეების მოჭრა სრულიად აკრძალული იქნება. ამ ახალს წესდებას ჩვენს კავკასშიაც ძალა მიეცემა.

⁂ ქალაქის სასკოლო კამიტეტში გადაუწყვეტიათ, რომ ქალების სახელოსნო სკოლიდამ შეგირდების დათხოვნა მარტო კამიტეტის უფლებით უნდა მოხდესო („ნოვოე ობოზრენიე“).

⁂ 19 დეკემბერს, 1-ლს კლასიკურს გიმნაზიის დერეფანში პალტო კიდებულა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის პეტრე ლებედევისა და ამ პალტოს ჯიბიდგან ოქროს საათი ამოუღიათ 60 მან. ღირებული. ამ ქურდობაში ეჭვი მიუტანიათ გიმნაზიის მსახურ დროებით დათხოვნილ ჯარის-კაცზე ათანასე ლუცენკოზე, გაუმტყუნებიათ და ტფილისის 1-ლ განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლეს სამის თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტია დამნაშავესათვის და ამასთან მონაპარევის საფასური უნდა გადაიხადოსო.

⁂ 20 დეკემბრის ღამეს, პოლიციის 1-ლ განყოფილებაში კარლ მიხელის სიმებისა და ძეწკვების ქარხნის ფანჯარა გაუტეხნიათ, შესულან შიგა და 400 მან. სიმები და გამხმარი ძეხვები წაუღიათ. დამნაშავე სპარსეთის ქვეშევრდომი მამედ-ქელბალი-ფაზულლო-ოღლი დაუპატიმრებიათ და გამომძიებლისათვის გადაუციათ.

⁂ ტერ-ნიკოლოსოვის ყავახანის დახლიდარი ტფილისის მოქალაქე ივანე ზარიევი, რომელმაც ამას წინად ამ ყავახანის დახლი გატეხა, გაიტანა 310 მან. ფულად და ორი ვერცხლის საათი, 35 მანათად ღირებული, და გაიქცა, 20 დეკემბერს, პოლიციის მე-5 ნაწილის პოლიციელს დაუპატიმრებია.

⁂ 20 დეკემბერს, ღამის 3 საათზე, პოლიციის მე-7 ნაწილში, მთავარ-ანგელოზის ქუჩაზედ, პოლიციელს ფრანც ზარჩუკს დაუჭერია ტფილისის მოქალაქენი დიმიტრი მეაროვი, ალექსანდრე სარქისოვი და დარჩო მარტიევი, რომელთაც 120 წყვილი პერანგის ამხანაგი მიჰქონდათ თურმე. გამოძიების შემდეგ აღმოჩენილა, რომ ეს 120 წყვილი პერანგის ამხანაგი დროებით დათხოვნილის ჯარის-კაცის მოშკა შმულევიჩისაგანა ყოფილა მოპარული. დამნაშავენი მომრიგებელ-მოსამართლის განკარგულებით ციხეში არიან დაპატიმრებულნი.

⁂ ამავე დღეს ნავთლუღში, იზმიროვის ბაღთან, მტკვარს გამოუგდია ერთის 50-ის წლის უცნობის კაცის გვამი. როგორც ეტყობოდა გვამს, მდაბიო კაცისა იყო, კავკასიის მკვიდრისა. დამრჩვალის გვამი საანატომიო კაბინეთში გაუგზავნიათ.

⁂ 21 დეკემბერს, მე-3 ნაწილში, იარმუკაზე, უეცრად გარდაცვლილა სამსახურს გარეშე მყოფი ჯარის-კაცი მათე გორიოკი.

⁂ 21 დეკემბერსავე, მე-6 ნაწილში, ტფილისის მოქალაქეს ისაკ გურგენიძეს ჩხუბი მოსვლია სპარსეთის ქვეშევრდომ მირ-ახმედ-მირ-მამედ-ოღლისთან და დანით ბარძაყში ორ ალაგას დაუჭრია. დამნაშავე დაუპატიმრებიათ, დაშავებულისათვის სამკურნალო შეეწევა აღმოუჩენიათ.

⁂ 20 დეკემბერს ეგნატე ივანეს ძეს პერგანესს უპოვნია ქისა 4 მან. და 50 კაპეიკით და ხატები და პოლიციაში წარუდგენია. დანაკარგის პატრონს შეუძლიან თავისი დანაკარგი მიიღოს პოლიციის გამგეობაში, თუ ცხადს საბუთებს წარადგენს გამგეობაში, რომ დანაკარგი იმისი კუთვნილებაა.

ნაკვესი

ერთმა თავადიშვილმა ნიშნის მიგებით უთხრა ერთს გლეხს:

— ჰე, მოგვხვდათ, დაგსეტყვათ თუ არა! ეგ სულ იმიტომ მოგდით, რომ უქმესა სტეხავთო.

— თქვენ ხომ საქმის დღითაც უქმად ხართ, მაშ სეტყვა თქვენ მაინც რატომ აღარ გინდობთ, თუ ეგრეაო?—უპასუხა გლეხმა.

პატიოსანმა თავ-მოყვარეობამ ქალისამ ხმა ამოიღო; იჭვიანობამ თავისი ადგილი დაიჭირა. არაო, ეფიცება ქმარი. მაშ თუ არა, დღეს ჩვენთან დარჩი, სადილი ერთადა ვჭამოთ, ეუბნება ცოლი: ანაპოდისტეც ხომ შენგან მოწვეულია დღეს სადილად, დარჩი ერთაც ვისადილოთო. ანაპოდისტე მე შენთან მოვიპატიჟე და არა ჩემთანაო, უპასუხებს ქმარი: მე მეტი ვიქნებიო და ამიტომ დღეს სადილი ჩემს ოთახში სასტუმროში უნდა ვჭამოვო. ჰო, ვიცი, ვიციო, ეუბნება ცოლი: შენი საყვარელი ქალი გეყოლება დღეს სადილად მოპატიჟებულიო. ქმარი ეფიცება არაო, ცოლს არა სჯერა. მაშ თუ ეგრეა, მეც შენთან წამოვალ სადილადაო, ამბობს ნინო. ბატონი ხარო, უპასუხებს ქმარი: მაგრამ ანაპოდისტე რას იტყვისო.—ეჰ, რაც უნდა სთქვასო, დაჯდეს მარტოკა და ისადილოს, სადილი ხომ მზად არისო, ეუბნება ცოლი. მაშ კარგი, დღეს ჩემი სტუმარი ბძანდები, წავიდეთ სასტუმროში და რაცა გნებავს მოიკითხეო, უთხრა ქმარმა.

ნინო სიხარულით ფეხზედ ვერა დგება. უჰ, რა კარგია, რა კარგი!.. იძახის სიხარულით აღტაცებული ნინო: მარტოკანი მე და შენ სასტუმროში ვიქნებით ცალკე ოთახში და ვინ იცის რას არ მოვჭორებენ. იმისთანა საყვარლები ვეგონებით, რომელთაც საქვეყნოდ სიყვარული აკრძალული აქვთ და იმიტომაც ჰშიშობენ და ჰრიდობენო. ის ერთ ნაირი მდინარეობა ცოლ-ქმრობის სიყვარულისა, რომელიც ნინომ შეადარა საათის ენის ერთნაირს ტაკა-ტუკსა და რომელსაც ამ მიზეზით უჩიოდა, ეხლა როგორღაც განსაცდელიან საყვარულად იმოსება იმის თვალში, იმ სიყვარულად, რომელიც ცოლ-ქრმობურს პატიოსნებას არ არის მოკლებული, მაგრამ გარეგანობით კი ჰგავს იმისთანას, რომელიც საზოგადო აზრით აკრძალულია და მაშასადამე რომელიც თავს იმალავს, ჰშიშობს, ჰკრთის და ყოველ ამით ჰფხიზლობს. ერთ ნაირი მდინარეობა მათის ცოლ-ქმურის ცხოვრებისა რომ ამ ნაირად დაირღვა და ფერი იცვალა, ეს მოეწონა ბაშვს ნინოსა და აი მისის სიხარულის სათავე სად უნდა ეძიოს კაცმა. სიტყვა რომ აღარ გავაგძელოთ, მოკლედ მოვსჭრით.

მოხერხებული ავტორი პიესისა ამ სასტუმროში, როცა ქმარი და ცოლი მარტოკანი არიან ოთახში და სადილს შეექცევიან, ჰხსნის თავის პიესის ნასკვსა. ეს უკანასკნელი მოქმედებაა პიესისა და აქ ყველა მომქმედნი პირნი ხელ-ახლად წარმომდგარნი არიან მაყურებელთა წინაშე. ნინო ჰხედავს, რომ იგი მჩვარი-კაცი, რომელზედაც ჰცვლიდა თავის სულ-გრძელს და ნამუსიანს ქმარს, მართლა მჩვარია და ულირსი. ქმარმა ისე მოაწყო საქმე, რომ ნინოს საკუთარის თვალით დაანახვა ვის ვისზედ სცვლიდა. მაყურებელიც აშკარადა ჰხედავს, რომ ნინოს გრძნობა ანაპოდისტეს მიმართ სიყვარული არ არის. ეს ის გულ-წმინდა, მაგრამ ბრმა გრძნობაა, რომელსაც ფეხი აუდგამს, მაგრამ საკმაოდ კი თვალი არ აუხილებია. ეს ის გრძნობაა, რომელსაც თავისი მოწადინებული ბინა და სადგური ჯერ ვერ უპოვია და აქედ იქით დააქვს აფორიაქებულს გულს, როგორც აღელვებულ წყალს შტოდამ მოწყვეტილი ფოთოლი. როგორც წყალმა არ იცის, სად გააჩერებს ფოთოლს სამუდამოდ, ისეც ამისთანა შემთხვევაში გულმა—სად აუჩენს სამუდამო სადგურს ბრმად მოარულს, თუნდაც წმინდა გრძნობასა. ყმაწვილი-კაცი, თუ ქალი, გამოუცდელი, გამოურკვეველი, თვით ამ გრძნობის უგზო-უკვლოდ ტრიალში ჰხედავს ხოლმე თავის სიამოვნებას და რაკი ტრფობისათვის მწყურვალე გრძნობას თავს ველარ დაუჭერს, მთელის ძალ-ღონით მიეცემა ხოლმე მის «მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას». ბაშვი რომ დაჰრბის, განა იმიტომ-რომ ბინამდე მისვლა ეჩქარება. ბაშვს რა საქმე ესწრაფვება!.. ბაშვს თვით სირბილი მოსწონს, იმიტომ-რომ მოძრაობაა უდიდესი სიამოვნება ახლად ფეხ-ადგმულის სიცოცხლისა. როგორც სიცოცხლეს ხორცისას ეს მოსდევს, ისეც სიცოცხლეს სულისას, როცა სულს დრო მოუვა ფეხის-ადგმისა, ნამეტნავად პირველ ხანში. „გაჰკვეთე ქარი, გაპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი!“ იძახის სული, რომელსაც სიცოცხლის მიმნიჭებელმა სხივმა დაჰკრა და ამოაყვავა. აი ეს ქარის გაკვეთა, გაპობა წყლისა, გარდავლა კლდეთა და ღრეთა თავის თავად მომხიბლავია, თავის თავად გამტაცებელია სულ-ღონიერ ჭაბუკისა, ქალი იქნება, თუ კაცი.

ნინოს ანაპოდისტე შეხვდა და მის სიკეთემ კი არ მოჰხიბლა ტრფიალების სიტკბოებითა, არამედ ამ შეხვედრამ შემთხვევა აპოვნინა ნინოს გაჰკვეთოს იგი ქარი, გააპოს იგი წყალი, გარდაიაროს იგი კლდე და ღრე, რომელიც კანონიერმა ცოლ-ქმრობამ მითამ თვალ-წინ გადუღობა და რომელმაც მითამ შეჰხუთა მისი სული მოძრაობისათვის ფეხ-ადგმული და ამაების მწყურვალე. ნინოს ანაპოდისტე კი არ უყვარს, უყვარს მარტო ეს განსაცდელიანი გზა, სადაც სული ჰფხიზლობს და ომობს და არა ისე უგემურად ჰხმაურობს, როგორც ერთ ნაირი ტაკა-ტუკი კედლის საათის ენისა. ნინოს ჯერ პირველში არც ქმარი უყვარს და ამ სახით მისი გული ჯერ დაუბინავებელია. ნინო ჯერ კიდევ საყვარელის არჩევანშია და როცა ჰნახა კი, რომ მისი ქმარი სულ-გრძელია და მაშასადამე ცოტად თუ ბევრად გმირი; როცა ამასთან გული დააჯერა, რომ ჩემი პატიოსნება და ნამუსი იმოდენად სწამს, რომ გაჰბედა და, თუნდ ერთის წამით, ჩემს ნებაზედ გამიშვა და არავითარს შიშს ჩემს გამო გულში ადგილი არ მისცაო, მაშინვე იგრძნო რა საუნჯე იყო მისი ქმარი; მაშინვე იგრძნო, რომ გმირიც ეს არის და ჭეშმარიტი მოტრფიალეცა. მაშინვე მისი მოუსვენარი გული დაწყნარდა და სთქვა: აი ჩემი სადგური, აი ჩემი სამუდამო ბინა სად არისო. გადაეხვია ქმარს და ცდომილი ცოლი კვლავ დაუბრუნდა ჭკვიან კაცს ეხლა კი იმ სიყვარულით, რომელსაც „წინად აქედ-იქით ეძებდა ნინო და რომელიც ერთად-ერთი თავ მდებია ცოლ-ქმრობის ბედნიერებისა. ყოველ ამაში მარტო ჭკუა-გახსნილმა ქმარმა გააგნებინა დახლართული გზა. თორემ თავის გაუწრთვნელ ჭკუას და გულს რომ აჰყოლოდა, ვინ იცის სად გადიჩეხებოდა. ამით თავდება იგი პიესა, რომელსაც „გავიყარნეთ“ ჰქვიან და რომლის გამო ასე გძლად მოგვივიდა ლაპარაკი.

თუ ჩვენ რამდენადმე მართლად მივუხვდით ნინოს ხასიათის ნასკვსა, მის სულისა და გულისა მოძრაობასა, მკითხველი ცხადად დაინახავს, რა ძნელი სათამაშოა ნინო სცენაზედ. ბ-ნმა საფაროვისამ ჩვენდა სასიამოვნოდ, საქებურად სძლია ამ ძნელსა. მრავალ-გვარი მოძრაობა სულისა და გულისა უნდა გამოესახა მაყურებელთა წინაშე და ერთის კილოდამ გადასვლა მეორე კილოზედ ისე ლამაზად მოსდიოდა, რომ ბევრგან თვითონ ქინიანი, ახირებული და მოწადინებული წუნიც კი წუნს ვერ დასდებდა. ხან გულის წყრომით წარბ-შეკრული და მრისხანე გრძნობით გულ-ამღვრეული, ხან ადამიანის გულის უკეთესთა სიმებზედ მომქლერალი; ხან პირ-მქუში, როგორც წყრომა, ხან ტკბილი, რო-

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. სურამი, 19 ქრისტიშობისთვეს. აგერ ერთი თთვეა თითქმის, რაც თბილი და მშვიდი ამინდები დგას სურამში და ამის ახლო-მახლო სოფლებში. ამ სამის დღის წინად მე გახლდით ზემო-იმერეთის სოფლებში: ნებოძირსა და წიფაში. აქაც დღემდინ თურმე ისეთი თბილი ჰაერი ყოფილა, რომ ტყემლების ხეები აყვავებულა. გუშინწინ კი, ამ თთვის ჩვიდმეტს, თბილმა ქუჩუნა წვიმამ დაასხა. ჰაერი ნელ-ნელა გაცივდა და ახლო მდებარე მთებზე თოვლი ჩამოჰყარა. გვეგონა, თოვლი სოფლადაც ჩამოაწევდა, მაგრამ ისევ ამინდმა აჯობა. მეორე დღეს აღმოსავლეთის ქარმა დაუბერა; ღრუბლები აქეთ-იქით გადაჰფანტა, ტალახიც საჩქაროდ გააშრო, მაგრამ ღამ-ღამობით-კი ცოტა ხმელი ყინვები დაიწყო. ასეთი ხმელი და უთოვლო ზამთარი არაფრად მოსწონს ტყეში მომუშავე ხალხს. ხე-ტყის გამოზიდვა მშრალს მიწაზე ისე ადვილი არ არის, როგორც თოვლის გატკეპნილს გზაზედ. როგორც ამბობს აქაური გლეხობა, ზამთარში ასეთი მუდმივი სიმშრალე და თბილი ჰაერი მავნებელია მცენარეთათვისაო. მართლაც წრეულს ჯეჯილებს კარგი პირი არ უჩანთ. ამბობენ, რომ აქა-იქ მინდვრებში თაგვიც გაჩენილა და თუ ამ სიმშრალემ დიდი ხანი გასტანა, თაგვები უფრო გამრავლდებიან და პურებს გააოხრებენო.

სურამის უღელ-ტეხილის გვირაბის გაყვანის თაობაზე ბევრი არა დასაჯერებელი ხმებია გავრცელებული ხალხში. ერთი ამბობს, რომ ამ გვირაბის გაკეთებას ვითომც თავს ანებებენ და ისევ ძველის გზის გადაკეთებას აპირებენო. მეორე ლაპარაკობს, გვირაბი უთუოდ უნდა გაკეთდეს, მხოლოდ ამისათვის სხვა ადგილი უნდა ამოარჩიონო, ეხლანდელი ადგილი ს. ბელლითსა და წიფას შუა სულ რბილი მიწა გამომდგარაო. ჩვენ კი რამოდენადაც ვიცით და საქმით ეხედავთ, ეს სრულიად ტყუილი ხმები უნდა იყოს. ხაშურს და ბელლითს შუა გაცხარებულნი მუშაობენ; ხაშურიდგან ახალი რკინის გზა, სიგძით სამს ვერსამდინ, უკვე მზად არის. გვირაბის დასავლეთით, ს. წიფაშიაც ძრიელ გახურებული მუშაობაა. აქ შენდება ხუთი, ექვსი დიდი სადგომი, სახლი, მათ შორის ორი უკვე მზად არის..

ამ მუშაობის მიზეზით წიფელები ძრიელ შევიწროვებულს მდგომარეობაში არიან. ს. წიფა რომ თავისის ადგილ-მამულით და სახნავ-სათესით გავზომოთ, ძლივს გამოვა ერთ-ნახევარი ოთხ-კუთხი ვერსი. ამ სივრცეზე დღეს ექვსასამდინ სხვა-და-სხვა რჯულის მუშა კაცი ირევა. შემდეგში, მომავალს თებერვლის თთვიდგან, უფრო კიდევ იმატებს რიცხვი მუშებისა. რასაკვირველია, ამდენი სხვა-და-სხვა თესლის ხალხი რომ ერთად აირევა, იქ ბევრი ჩხუბი და ქურდობაც მოხდება, თუ აქ საკუთრად კაცს არ დააყენებენ და არ მიანდობენ დაიცვას მშვიდობიანობაი, მაგალითად, წიფის სიახლოვეს, ბექათუბნის წყალზედ, ამ თთვის 11-ს ორი დუქანი გაეტეხათ, თუმც ვერაფერი ვერ გაეტანათ დუქნიდამ და ხელ-ცარიელნი გაქცეულიყვნენ.

წიფაში რამდენიმე კომლი კაცი აჰყარეს. აყრილს გლეხებს სახლების დანგრევისა და სხვა ადგილზე გადატანისათვის ფულები უკვე მიეცათ: ზოგს 150, ზოგს 100 და 50 მანეთი. სახლე და საყენახე ადგილებიც დაფასებულია აქ, თითო ოთხ-კუთხი საჟენი 75 კაპეიკად. ამის ფულები კი ჯერ არავის მიუღია. ამ სოფელში სამოცამდის კომლი გლეხ-კაცია, ზოგი საბატონო და ზოგი სახელმწიფო. სარჩო და ღვინო იმდენი მოდის აქ, რაც წლითი წლამდის ეყოფათ. მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა ტყეში მუშაობს, სადაც შეშას ამზადებენ და საჟნობით ჰყიდიან. საჟენი დახერხილის რცხილის შეშა, ჩამოტანილი ბექათუბნის რკინის გზაზე, ღირს არა-ნაკლებ 12 მანეთისა. ეს შეშები იგზავნება სულ ტფილისში. როგორც გავიგე საქმის მცოდნეთაგან, ტფილისში ჩამოტანილი საჟენი რცხილის შეშა ჯდება 26—27 მანეთად და ისყიდება კი თურმე არა ნაკლებ 40—45 მანათისა.

ს. ღონღაძე

წერილი რუსეთიდამ

კიევი, 15 დეკემბერს. აგერ ერთი თთვე იქნება, რაც კიევში ვიმყოფები შემთხვევით; აქ გავიცანი ქართული სტუდენტობა, შევიტყე მათი ყოფა-ცხოვრება. საზოგადოდ სტუდენტები ყველგან ცუდს მდგომარეობაში არიან, მაგრამ ის მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებიან აქაური ქართველი სტუდენტები, ენით გამოუთქმელია; უმეტესს ნაწილს თთვე გავა რომ კაპეიკი არ მოუვიდეს სახლიდამ, რის გამოც იძულებულნი არიან იკვებებოდნენ მარტო შავის პურითა და ჩაით. ხან-დისხან-კი, როდესაც რომელიმე ამხანაგი მიიღებს ცოტაოდენს ფულს, გასწევენ იაფ სასადილოში („дешевка“), სადაც ორი თავი საჭმელი თავის პურით ღირს 10—12 კაპეიკი (როგორი სადილი იქნება ამ ფასად, ადვილი საგულისხმოა). რაც შეეხება ტანისამოსს, ან სასწავლო წიგნებს, ამაებს ხომ თითქმის სრულიად მოკლებულნი არიან. ზოგიერთს—ერთს თუ ორს, მგონია, მოსდის სახლიდან ოცი, ოც-და-ხუთი მანეთი, მაგრამ არც ისინი არიან უკეთესს მდგომარეობაში. მოგეხსენებათ, ყვავს რა ჰქონდა—ბუს გაჰქონდაო. მიიღებენ თუ არა ცოტაოდენ ფულს, ზნეობრივ მოვალეობადა სთვლიან დაეხმარონ თავის გაჭირებულს მოძმესა და ამხანაგს და ამის გამო თავადაც ღარასფერი არა რჩებათ.

ჩვენი საზოგადოება ვალდებულია მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება; უნივერსიტეტის ახალგაზდობა შეადგენს უკეთესს ნაწილს თავის სამშობლოსას; ეს ახალგაზდობაა საუკეთესო ჩვენი იმედი; უნივერსიტეტში ნასწავლნი მუშაკობენ შემდეგ თავის ქვეყნის სასარგებლოდ. ჩვენი სამშობლო არ არის მდიდარი ნასწავლის კაცებითა. ამიტომ საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამ დააფასოს თითოეული მათგანი და გაუწოდოს გაჭირების დროს ხელი შველისა და დახმარებისა. გაჭირება სტეხს და აწვრილმანებს ადამიანის ხასიათს; ტყუილია, ვითომ გაჭირება სწრთვნის და ამაგრებს კაცსაო.

ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს გავაგებინო ამ გვარი მდგომარეობა კიევის ქართველის სტუტენტებისა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა. ბოდიშს ვითხოვ კიევის ქართველ სტუდენტების წინაშე, რომ მათ დაუკითხავად ვაძლევ ნებას ჩემს თავს და გაზეთში ვაცხადებ ამ ამბავს. მე ვგონებ, მოვალე ვარ ვაცნობო მათი უნუგეშო მდგომარეობა ქართველ საზოგადოებას. ქართველი სტუდენტები ეკუთვნიან სამშობლოს და სამშობლომ უნდა იცოდეს იმათი ბედი და უბედურება.

ა. მ—ნი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთში ხშირად შეჰხვდებით ასეთს სიტყვებს. «ხალხს ეს სწადიან, საზოგადოება ამას ამბობსო». სად არის ეს „ხალხი“, „საზოგადოება“? სად უნდა ვეძიოთ? რას ჰფიქრობს, რაში იჩენს თავის სიცოცხლეს?

როგორ? გაიკვირვებს მკითხველი, — განა „საზოგადოებას“, „ხალხსაც“ ძებნა უნდა? განა ქალაქებში, მარტო ქუჩაში რომ გახვიდეთ, ცოტა ხალხსა ჰნახავთ? დიახ, ჰნახავთ, მაგრამ ვისა? მოხელეს, აფიცერს, ვაჭარს, საქმიან კაცს, უსაქმოს, ბატონს, მოსამსახურეს, და... სხვა და სხვა... განა ეს „ხალხია“, „საზოგადოებაა“? არა ეს მხოლოდ გროვაა სხვა-და-სხვა ხელობისა, სხვა-და-სხვა ჯურის ადამიანებისა. საზოგადოებას, რომელიც ხმას იძლევა, საზოგადო საქმეებს მიმართულებას აძლევს, ამისთანა საზოგადოებას ნუ მოჰძებნით. ამისთანა საზოგადოება არამც თუ ჩვენში, თვით პეტერბურგშიაც არა ყოფილა. აი, მაგალითად, გაზეთ „Новости“-ში დაბეჭდილია ფელეტონი: „როგორ ვეძებდი „ხალხს“, „საზოგადოებას“?

ავტორს მოურბენია მთელის პეტერბურგის ქუჩები, რესტორანები და „ხალხი“, „საზოგადოება“, ისეთი საზოგადოება, რომელზედაც ზემოდა ვსთქვით, ვერ უპოვნია.

დაუნახავს ბოლოს ქალაქის საბჭო. აი აქ ვიპოვნი ნამდვილს «საზოგადოებას», საზოგადოებას, რომელსაც რაიმე საერო საქმე აწუხებს, რომელსაც რაიმე ერთობა, „საზოგადოების“ ნიშან-წყალი ატყვია. შესულა ამ აზრით საბჭოში და უკითხავს:

— შემიძლიან ვნახო აქ „საზოგადოება“, „ხალხი“?

— რაო? „საზოგადოება“, „ხალხი“? ჩვენ აქ „ხალხს“ შემოსვლის ნებას არ ვაძლევთ.

— როგორ? აქ ხომ „საზოგადოების მმართველობაა“?

— რა „მმართველობაო? ერთი კიდეგა თქვით!

— „საზოგადოების მმართველობა“.

გორც ბედნიერების ღიმილი; ხან «ვარდის ყნოსვით მთვრალი, ხან ეკლით განფხიზლებული»; ხან ნაზის, ნებიერის და აზიზის გრძნობით შექ-ფენილი, ხან ამაყი, თავ-მომწონე შეუპოვარი და წინ-დაუხედავი მეომარი, რომელიც იბრძვის დარღვეულის უფლების აღსადგენად,—ყოველივე ეს საოცარის ზედ-მიწევნით და გულის სითბოთი გაგვიტარა ბ-ნ საფაროვისამ თვალ წინ. მარტო ის არ მოგვეწონა, რომ ზოგან სხაპა-სხუპით მოსდიოდა ლაპარაკი და სიტყვებს ვერ ვარჩევდით. ცუდი ჩვეულებაა, თუ არტისტს ეს დასჩემდა. მართალია ზოგან აჩქარება გრძნობისა ლაპარაკის აჩქარებასა ჰთხოულობს, მაგრამ აქ გადაჭარბება არ ვარგა და სიტყვა უსათუოდ უნდა ისმოდეს თვითეულად და გარკვევით. ამ ნაკლს ვერა თამაშობა ვერ შეავსებს.

ბ-ნი აბაშიძე ვერ იყო ისე, როგორც საჭიროა. ცოტა არ იყო, ქვეითობდა და ის ჰკვა-დამჯდარობა აზრთა-მკვლევის კაცისა არ ეტყობოდა, რომელსაც, ჩვენის ფიქრით, ლომინაძის სათამაშოს მოსახდენია. უკანასკნელ მოქმედებაში, როცა გამოკეთებული ნინო სიყვარულით გულზე მივარდება და სთხოვს,—ყველაფერი დავივიწყოთ, მე შენი ვარო, აქ ისე უგემურად უთხრა პასუხი გახარებულს ნინოსა, თითქო ეხუმრებოდაო და თვითონ არავითარს სიხარულს არა ჰგრძნობს, რომ ასე მარჯვედ მოუვიდა თვისი დაწყობილი საქმე და საყვარელი ცოლი ცნობიერის და მართლის სიყვარულით უკანვე დაუბრუნდა. ეს სწორედ ტკბილის ცრემლის მოსაგვრელი სცენაა, რომ ბ-ნ აბაშიძეს არ ელალატნა ხელოვნებისათვის და იმ სითბოთი და სიტკბოთი მოქცეულიყო, როგორც ბ-ნი საფაროვისა. ბ-ნს მესხიევს ვერაფერი სათამაშო ჰქონდა და უგულოდ, უგემურად ითამაშა. არც ბ-ნი აწყურელი იყო კარგად. მეტის-მეტად შეუფერებლად ეცვა ასე, რომ უყურებდით და გიკვირდათ,—ეს როგორი იმისთანა ყმაწვილი კაცია, რომელსაც ქალების უკან დევნის მეტი სხვა ღვთისაგან განაჩენი არა ულირსებია-რა ბედსა. გვესიამოვნება, რომ საბუთი გვაქვს შევნიშნოთ, რომ ბ-ნი მაქსიმიძე არ იყო ურიგო, ძალიან რიგიანად ითამაშა. სჩანს ამ არტისტსაც შეუძლიან კარგად თამაშობა და რას მივაწეროთ, რომ ხშირად ესე არ არის? ნუ თუ რუსულს „авось, вывезетъ“-ს? ბ-ნ თამაროვისაზედ ჯერ ვერას ვიტყვით. თუ არა ვცდებით, მისი გამოსვლა სცენაზედ პირველი შემთხვევაა და ჯერ საკმაო დრო არა ჰქონია თვისი ნიჭი დაგვანახვოს. ერთობ უნდა შევნიშნოთ, რომ როცა დანიშნულს საღამოზედ სტუმრები თავს იყრიან ლომინაძეს სახლში, ჩვენს არტისტებს ვერაფრად მოუვიდათ თამაშობა. რაღაც უგემურად და ზლაზვენით მიდიოდა მოქმედება, თითქო არტისტები ეხლა ემზადებიან სათამაშოების გასაკვეთადაო.

14-ს დეკემბერს ითამაშეს ყველასაგან ცნობილი და არა ერთხელ ნათამაშები „ხანუმა“ ბ-ნ ას. ცაგარლისა ბ-ნ აწყურელის საბენეფისოდ. თეატრი სავსე იყო.

თვითონ პიესის შინაარსზედ არას ვიტყვით, იმიტომ-რომ ვინ არ იცის ეგ შინაარსი და სწორედ რომ ვსთქვათ, არც მეტი სახარბიელოა და ვერც თვითონ პიესაა რიგიანად აგებულია. ეს ხომ ასეა. მაგრამ ჩვენს სასცენო ლიტერატურაში მაგ გვარს პიესას, ნამეტნავად ახლებში, არა სჯობია-რა. იგი, ნამეტნავად პირველი ორი მოქმედება, ცოცხალი სურათია ჩვენის ცხოვრებისა, სურათი მარტო თვალად სახილველი და მეტის-მეტად მართლად გადმოღებული და ჩვენს ცხოვრებაზედ ზედ-გამოჭრილი. ჭეშმარიტად „სანაკვესო“ სიტყვებით ბრწყინავს და ელვარებს თითქმის ყოველი სათქმელი ყოველის მომქმედისა. თეატრი ამის თამაშობაზე ერთს განუწყვეტელს გულითადს ხარხარად გარდაიქცა. რომ გენახათ, ხარხარებდა ყველა დიდი თუ პატარა იმ სასიამოვნო ხარხარითა, რომელსაც მართლა და მხიარულების სიცილი ჰქვიან. არა ერთსა და ორს შემოუჩივლია ჩვენთვის, რომ დაგვიხოცენით სიცილითაო. მართალიც არის: უზოროტო სიცილით ყველა იცინოდა იმოდენად, რომ ზოგჯერ სცენაზედ არტისტები იძულებულ იყვნენ გაჩერებულიყვნენ, მინამ ხმა-მაღალი სიცილი დაწყნარდებოდა. მკვდარსაც კი გაეცინებოდა 14-ს დეკემბერს „ხანუმას“ წარმოდგენაზედ. ვერა სიტყვით ვერ გამოიხატება იგი თითქმის სასწაულთ-მოქმედება ხელოვნებისა, როგორიც გამოხატა ბ-ნმა გაბუნიამ, რომელიც ხანუმას ჰთამაშობდა. უკეთესი თამაშობა აღარ შეიძლება, ამას ზევით ხელოვნება ვერ წავა. ვისაც ოდესმე მოსწყურებია საკუთარის თვალით ნახვა მისი თუ,—სად არის სამზღვარი სასცენო ხელოვნების ძლევა-მოსილობისა—იმას უნდა ენახა ბ-ნი გაბუნია, ხანუმას რომ ჰთამაშობდა 14 დეკემბერს, ნამეტნავად იმ სცენაში, როცა აკოფას დიდის ხნის შემდეგ პირველად ჰხედავს. სამწუხაროდ ჩვენდა, ერთი სასაცილო სცენა წახდა. როცა ორი მაჭანკალი ხანუმა და ქაბატუა შეეძიძგილებიან ერთმანეთს—ეს სცენა ვერ მოუვიდათ კარგად. ქაბატუას ჰთამაშობდა ბ-ნი საფაროვისა და პირველი შემთხვევაა ეს, სხვა არ გვახსოვს, რომ ბ-ნმა საფაროვისამ თავის სათამაშოს გადააჭარბა და სასაცილო ძიძგილაობა დასანახავადაც კი სანანურად და შესაწუხებლად გაუხადა მაყურებლებსა. ბ-ნ ყიფიანზედ არას ვიტყვით, მაგრამ ეს დუმილი ის დუმილი კი არ არის, რომელიც დაემართა შავთელსა თამარ მეფის დიდებით გაკვირვებულსა და რომელმაც ამ გაკვირვებით ენა-შეკრულს პოეტს წარმოათქმევინა ალტაცებით: მაშა დუმილიც მიითვალე შენდამი ქებადაო. ბევრჯელ მივუყვანივართ ბ-ნს ყიფიანს იმ გაოცებამდე, რომ დუმილი-ღა დაგვრჩენია მისდამი ქებად, მაგრამ 14-ს დეკემბერს, როცა იგი ჭანო ფანტიაშვილს ჰთამაშობდა, იმ «ბევრჯელში» ადგილი არა აქვს.

ბ-ნი აწყურელი კარგი იქნებოდა, თუ რომ თვალ-წინ წარმოდგენილი არა გვყვანდეს ჩვენი შეუდარებელი ამისთანა სათამაშოებში ბ-ნი აბაშიძე, რომელსაც ეს სათამაშო არა ერთხელ უთამაშნია. ჩვენ ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ბ-ნი აწყურელი თავის თავად კარგა საკმაო ნიჭის მქონებელი არ იყოს. ბ-ნი აწყურელი იმოდენად კარგი რამ არის საზოგადოდ და იმოდენად კარგი იყო 14-ს დეკემბერსაც აკოფას სათამაშოში, რომ მართლა მოსაწონია. მაგრამ ვისაც უნახავს ბ-ნი აბაშიძე, მარტო იმას ეჩვენება ხოლმე ბ-ნი აწყურელი მკრთალად და შუქ-მიბინდულად. ბ-ნის აწყურელის წუნი,—თუ კი ეს წუნად ჩაითვლება,—მარტო ის არის, რომ შესადარებლად იმ სიდიდე ნიჭი თვალ-წინ გვიდგა, როგორიც ბ-ნი აბაშიძეა, აქ კი ადგილი უნდა დაუთმოს ბ-ნმა აწყურელმა ბ-ნს აბაშიძეს. ბ-ნი აწყურელი მთვარეა და ბ-ნი აბაშიძე მზე და ამიტომაც მისი შუქი აბინდებს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

„მთვარე მზესა მოუშოროს,
მოშორება გაანათლებს;
რა იახლოს, შუქი დასწვავს,
გაქრების, ვერ იახლებს.“

— თქვენც ეს მართლა დაიჯერეთ.

— როგორ თუ დავიჯერე? მაშ განა ეს ტყუილია?

— მაშ როგორ გეგონათ, ჩვენ გვქონია „ივან ივანიჩის“, „ივან სემეონიჩის“ მმართველობა და რომ „საზოგადოების მმართველობა“ ყოფილიყოს,—ეს კი არ გაგვიგონია.

— საქმეებს აქ ხომ „ხმოსანთა“ კრება განაგებს!

— ეჰ, თითქოს არ იცოდეთ, რომ ანბანში ხმოვანი ასოები ძრიელ ცოტაა; უფრო მეტია თანახმოვანი, ნახევარ-ხმოვანი და უხმო.

— დასებიც ხომ არის თქვენს საბჭოში, ამ დასებს ხომ თავიანთი ინტერესები აქვთ, ესენი „საზოგადოების“ წარმომადგენელნი არიან და მაშასადამე „საზოგადოების“ საქმეს უნდა იცავდნენ.

— ეგეც მხოლოდ ოცნება გახლავთ. ყველას თავისი საკუთარი ინტერესი, სარგებლობა აქვს სახეში და არა საზოგადოებისა...

განა საჭირო იყო კიდევ ეკითხნა რამე? ავტორი აქედამ წასულა, დაუვლია „სამხიარულო, გასართობი“ ადგილები, ყოფილა თეატრში, — ყველგან ბოლომდე უნახავს „ადამიანთა გროვა“ და არა ნამდვილი «ხალხი», «საზოგადოება», რომელსაც ერთი დედა-აზრი აცხოველებს და ამოქმედებს.

თეატრიდამ წაველი „კეთილ-შობილთა კლუბშიო“,—განაგრძობს ავტორი. მივედი. დავდივარ დიდრონ დარბაზებში, ვეძებ „ხალხს“ და „კეთილ-შობილებას“. ვიპოვე, ვნახე ლაპარაკი, ცეკვა, ლაზღანდარობა, ჭამა-სმა,—სუყველაფერი „კეთილ-შობილური“ იყო... აქვე შემხვდა ერთის საპოლიტიკო გაზეთის რედაქტორი და გამომცემელი.

— თქვენ აქ როგორ მოჰსულხართ?— მკითხა რედაქტორმა.

— „ხალხს“, „საზოგადოებას“ ვეძებ,—ვუპასუხე.

— რა „ხალხსა“?

— ნამდვილს „ხალხს“, „საზოგადოებას“.

— მიკვირს, ღმერთმანი! თუ მართლა მაგისთვის მოჰსულხარ, მაშ რატომ დიოგენის ტანისამოსი არ ჩაგიცვამს და ხელში ფარანი არ გიჭირავს. ისიც კი უნდა გითხრა, რომ თვით დიოგენიც ვერ იპოვიდა აქ იმას, რასაც თქვენ ეძებთ.

— როგორ? თქვენ მეუბნებით მაგას! თქვენ, რომელიც, როგორც გაზეთის რედაქტორი, „საზოგადოების აზრის“ წარმომადგენელად ითვლებით?

— ეჰ, ჩემო მეგობარო, განა შენგან უნდა მესმოდეს ეგეთი სიტყვები? შენ თითონ გაზეთის თანამშრომელი ხარ და კარგად იცი, რომ ჩვენ გვყავს მხოლოდ მკითხველები, და „ხალხზე“, „საზოგადოებაზე“, საზოგადოების აზრზე არც მე, არც თქვენ არა გაგვიგია-რა.

— როგორ! მაშ ვის ან რას ემსახურებით?

— ვის და ჩემს თავს ვემსახურები.

— მერე «მიმართულება», აზრი?

— ეს გარემოებასა, გემოვნებასა და გუნებაზე ჰკიდია, მე იმასა ვწერ, რაც მე თითონ მომწონს და არა იმას, რასაც „ხალხი“, „საზოგადოება“ მეტყვის... მაგრამ დავანებოთ ამას თავი, რა დროს ამაზედ ლაპარაკია, წავიდეთ, დავლიოთ.

დავლიეთო, ამბობს ავტორი, და ამით გავათავე კიდეც ჩემი ტყუილ-უბრალო ძებნა და სიარული. „ხალხი“, „საზოგადოება“, ვერ ვიპოვე...

* * *

გაზ. „Гражданинъ“-ი უცნაურს ამბავს მოგვითხრობს არა ნაკლებ უცნაურ „საზოგადოებაზე“. ეს საზოგადოება გახლავთ „პირუტყვთა მფარველი საზოგადოება“, რომელიც საკვირველის ერთგულებით ეკიდება თავის საქმეს.

13 დეკემბერს ქალაქის საბჭოში კრება ჰქონდა ამ საზოგადოებასაო,—გვიამბობს „Гражданинъ“-ი. ამ კრებაზე ზოგს წევრს საზოგადოებისას საკვირველი გულჩვილობა გამოუჩენია და უთქვამს: უნდა ვეცადნეთ, აღმოვფხვრათ ჩვენს საზოგადოებაში ის ცუდი ჩვეულება, რომ ამოდენა პირუტყვსა სტანჯვენ და ჰხოცვენ იმის გულისთვის, რომ ვიღასაც ამათი ხორცი მოსწონს და იამებაო.

საკვირველი გულ-ჩვილობაა, ღმერთმანი! მაშ ნუღარასა ვჭამთ? ნეტავი ვიცოდეთ, თვით „პირუტყვთა მფარველ საზოგადოების“ წევრნი, რომელთაც ასე ძრიელ შესტკივათ გული პირუტყვებისათვის, რას მიირთმევენ, და თუ ხორც შეექცევიან, ჰკლავენ, თუ ცოცხლებსა ჰყლაპვენ?..

უცხოეთი

ბოლგარია. „კელნის გაზეთის“ ბოლგარიის კორრესპონდენტს ბ-ნს გუნოს მთელი წიგნი დაუწერია ბოლგარიის საქმეთა გამო და ეს წიგნი ამ დღეებში ლეიბციგში გამოსულა. ბ-ნი გუნო ბოლგარელია და თვით პრინცი ალექსანდრე და სარეგენტო მთავრობა ბოლგარიისა დიდს პატივსა სცემენ. აქედგან აშკარადა სჩანს, რომ გუნო ცხარედა მომხრეობს და იცავს ბატტენბერგსა. „დასასრულ ერთს სიტყვას ვიტყვიო, ამბობს წიგნის ავტორი: ვინც უნდა იყოს კანდიდატი, ამოირჩიონ ბოლგარიის მთავრად, ოღონდ ნემეცის პრინცი კი ნუ იქმნებაო.“ გუნოს აზრით, ნემეცის პრინცი ფეხს ვერ მოიკიდებს ბოლგარიის ტახტზედ და თუ ამოირჩევენ, ტყუილად გაირჯებიან, რადგან დიდი დღე არ ექმნება იმის მთავრობასაო.

— ვენიდგან დეპეშით აუწყებენ „Times“-ს, რომ გადბან-ფაშამ ყოველივე სადიპლომატიო კავშირი შესწყვიტა ბოლგარიის სარეგენტო მთავრობასთან და ამასთან ხმაა გავრცელებული, რომ ოსმალეთს განზრახვა აქვს ნოტა გაუგზავნოს ბოლგარიის მმართველებს და აღუკრძალოს ჯარის მოკრეფის დროს აღმოსავლეთ-რუმელიიდგან არავინ არ გაიყვანოთ ჯარშიო.

— საფრანგეთის გაზეთები „Paris“-ი და „France“ იმ აზრისანი არიან, რომ თუ მართლა მშვიდობიანობა დაირღვა ევროპაში, ეს მშვიდობიანობის დარღვევა ინგლისის მეოხებით მოხდებაო. ინგლისია დამნაშავე, რომ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა ურჩობს და დიდთა სახელმწიფოთა სურვილს მშვიდობიანობის დაცვისას ეწინააღმდეგება, ინგლისი აქეზებს ბოლგარებს რუსეთის წინააღმდეგაო.

— „France“ ურჩევს ბოლგარებს: ეხლანდელი მინისტრები რეგენტებად დანიშნეთ, მოიწვიეთ დიდი საერო კრება, ბოლგარიის დეპუტატთაგან შემდგარი და, რუსეთისა და ოსმალეთის სურვილისამებრ, სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ამოირჩიეთ ბოლგარიის მთავრადაო.

— სამხედრო მინისტრს ბოლგარიისას ნიკოლაევს განკარგულება მიუცია ჯარისათვის, რომ დღეის შემდეგ მარტო ბოლგარიის ენა იხმარეთ ხოლმეო. ყველა სამხედრო წესდებანი ბოლგარიულად უნდა გადითარგმნოსო. ბრიგადის უფროსი იმის გამო, რომ ცანკოვის დასსა მომხრეობდა, სამსახურიდგან დაუთხოვნიათ.

ინგლისი. ინგლისის გაზეთებს დიდი ლაპარაკი აქვსთ ატეხილი ლორდ რანდოლფ ჩერჩილის სამსახურიდგან გადადგომის გამო. ჩერჩილს სამსახურიდგან გადადგომისათანავე გაზ. «Times»-ისთვის შეუტყობინებია ეს ამბავი. კონსერვატორიული გაზეთები ამის გამო ცხარედა ჰკიცხავენ ჩერჩილს: ხაზინის კანცლერი ურიგოდ მოიქცა და ერთხელდა-ერთხელ მიღებული წესი დაარღვია, ნება არა ჰქონდა გამოეცხადებინა, სამსახურიდგან გადავდექიო. მაგის უფლება მხოლოდ პირველს მინისტრსა აქვს და ისიც დედოფალს უნდა დაეკითხოს და ნება აიღოსო. განა შეიძლებოდა ისეთ დროს, როგორიც ეხლაა, როცა ომი კარზედ მოგვდგომია, სამსახურიდგან გადადგომაო. თქმა არ უნდა, ამ ამბის გამო ლორდი ჩერჩილი ხალხის თვალში ბევრს დაჰკარგავსო. არც ისე ბევრი დააკლდა სამინისტროს ჩერჩილის გადადგომით, ხაზინის კანცლერად ჩერჩილის მაგიერ გოშენს ამოირჩევენ და დაგარწმუნებთ, რომ გოშენი არაფრით ჩამოუვარდება ჩერჩილსაო.

დეპეშა

20 დეკემბერი

ოდესა. აქ თბილი, თითქმის გაზაფხულის ამინდი სდგას. ტაგანროგს, მარიუპოლს, ბერდიანსკსა და როსტოვში გაცხარებით ჰტვირთავენ გემებს პურითა.

პეშტი. როცა ტისას ახალ-წელიწადი მიულოცა პალატის ლიბერალთა დასმა, მინისტრმა ამ მილოცვის პასუხად სთქვა, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ მთავრობა კვლავ იმ პროგრამას მისდევს, რომელიც გრაფმა კალნოკიმ გამოაცხადაო. მინისტრმა ამას ისიც დაუმატა, რომ კალნოკის სიტყვის შემდეგ ისეთი არა მომხდარა-რა, რომ მშვიდობიანობის იმედი შეერყიაო. ხელმწიფენი და მთავრობანი, როგორც ეტყობა, მშვიდობიანობის მოსურნენი არიანო.

ბერლინი. რადგან 80 წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც იმპერატორი ვილჰელმი სამსახურში შევიდა, ხელმწიფეს მიულოცა გენერლობამ და სამეფო კარის დიდ-კაცობამ. მემკვიდრე პრინცმა იმპერატორს სიტყვა მოახსენა და სთქვა, რა დიდი ღვაწლი და ქველობა მიუძღვის იმპერატორს და ამის გამო რა რიგად ძრიელ უყვარს ჯარსა და ერსაო; ამასთანავე ისიც მოიხსენა, რომ სამხედრო აღზრდა, რომელიც ერმა მიიღო ხელმწიფის მზრუნველობის წყალობით, საუკეთესო თავ-მდებია და თამასუქი მშვიდობიანობისაო. იმპერატორმა გრძნობით წამოთქმულის სიტყვებით მადლობა გადაუხადა და აკოცა მემკვიდრე პრინცსა და აგრეთვე მთავარ-სარდალს მოლტკესა.

21 დეკემბერი

პეტერბურგი. პოდ-პოლკოვნიკი საგენერალო შტაბისა ზუევი დანიშნულ იქმნა სამხედრო აგენტად ვენაში.

პარიჟი. პრეზიდენტს გრევის ახალ-წელიწადი მიულოცა სადიპლომატო კრებულმა. გრევიმ უთხრა კრებულს: მადლობელი ვარ თქვენი, რომ ეცადენით და დაიცვეთ მეგობრობა საფრანგეთისა სხვა დიდ სახელმწიფოებთან. იმედი მაქვს, რომ საკვლავოდაც არ დაირღვევა ეს მეგობრობაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.
მეფის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

დეკემბერი 31 დღით არის

23 დღე სამშაბათი. წმ. ათთა მოწამეთა კრიტელთა. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. წმ. წინ.-მეტყ. დავითისა და წმ. იაკობ მოციქ. მუსულ. მე-11 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—20. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—43; მთვარე ამოდის 1—1, ჩადის 1—10. მთვარე 10 დღისაა.

24 დღე ოთხშაბათი. წმ. ქალწ. მოწ. ევგენიასი. კვირაძალი იესო ქრისტეს შობისა. კათოლ. კვირაძალი იესო ქრისტეს შობისა. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5—46. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—44; მთვარე ამოდის 1—35, ჩადის 2—10.

განცხადებანი

კანცელარია და ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ ღია არის: საღამოთი ყოველ-დღე, კვირას გარდა, 4—6 საათამდე; ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს დილით 8—10-მდე; კვირაობით დილის 11—1 საათამდე საღამოსი. (10—5)

ახალი წიგნი
(რუსულ ენაზედ)

„კერძო და სადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—31)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში და ქუთაისში ახალი სახელმძღვანელო წიგნი სკოლებში და ოჯახში სახმარებელი.

ქართველი მწერლები
I
საბა-სულხან
ორბელიანი
ფასი 15 კაპ.

ამ წიგნში შეკრებილია საბა-სულხან ორბელიანის იგავ-არაკები, ამოღებული „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნიდამ; წინ წამძღვარებული აქვს წინა-სიტყვაობა და ვრცელი ბიოგრაფია ავტორისა. წიგნს აქვს სახეში დაეხმაროს მასწავლებლებს და მოწაფეთ ქართულს ენის და ლიტერატურის შესწავლაში. ყოველს ძნელ სიტყვას, რომელსაც-კი მოწაფე ჰპოვებს ამ წიგნში, განმარტება აქვს მიცემული იქვე სხოლიოში. ვინც ნაღდს ფულზედ დაიბარებს ამ წიგნს პირ და-პირ გამომცემლისაგან არა ნაკლებ 10 ეგზემპლიარისა, მას 20% დაეთმობა.

ადრესი: Тифлисъ. Александровскій учительскій институтъ. М. А. Насидзе. (5—4)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით . . .	10 მ. — კ.	6 თვით . . .	6 მ. — კ.
11 „ . . .	9 „ 50 »	5 „ . . .	5 „ 25 »
10 „ . . .	8 „ 75 »	4 „ . . .	4 „ 75 »
9 „ . . .	8 „ — »	3 „ . . .	3 „ 50 »
8 „ . . .	7 „ 25 »	2 „ . . .	2 „ 75 »
7 „ . . .	6 „ 50 »	1 „ . . .	1 „ 50 »

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისას გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ.“

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი, სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისთვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозв. ценз. Тиф. 22 декабря, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე